ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №4

ქ.თბილისი

27.06.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ ცირეკიძე - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ტრენერი და კონსულტანტი; საბჭოს თავმჯდომარე;
ნატო ქობულაძე - ინკლუზიური განათლების ექსპერტი; საბჭოს მდივანი;
თამარ ბრეგვაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) პროგრამის კოორდინატორი;
მაია მაღლაკელიძე - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი;
ზვიად მიმინოშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამთა კობახიძე - ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
რამაზ გიუნაშვილი - გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ბესიკ ნიპარიშვილი - შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის დირექტორი;
2. გრიგოლ ბულია - შპს არძანის დამფუძნებელი და დირექტორი;
3. ანი ბედენაშვილი - შპს არძანის მენეჯერი სასწავლო-აღმზრდელობით დარგში;
4. მაკა მახარობლიძე - შპს არძანის მენეჯერი სასწავლო-აღმზრდელობით დარგში;
5. მუსტაფა ჩირიში - შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორი;
6. მარეხ ყანჩაველი - შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
7. ლალი თოდაძე - შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მენეჯერ-თარჯიმანი;
8. რამაზან გოჩთუ - შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორი;
9. ქეთევან მაწკეპლაძე - შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მდივან-თარჯიმანი;

10. თენგიზ ჩაკაბერია - შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია ჯიჯის დირექტორის მოადგილე სასწავლო-მეთოდურ დარგში.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ნოდარ ანგურიძე;
ნინო ფეტვიაშვილი;
მიხეილ ტეფნაძე.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 17:20 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:
1. შპს ბესიკ ნიპარიშვილი მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს არძანში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
5. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა წარადგინა შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც საბჭოს სხდომაზე ექსპერტის დაგვიანების გამო, შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი, საბჭოს განეხილა დღის წესრიგის ბოლო საკითხად. საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის ახალი დღის წესრიგი:

1. შპს ბესიკ ნიპარიშვილი მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს არძანში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
5. შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალი დღის წესრიგი.

1. შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა რამაზ გიუნაშვილმა. მან განაცხადა, რომ 2014 წლის 4 აპრილის სხდომაზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ განიხილა შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, სადაც გამოვლენილი იყო ხარვეზები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ხარვეზების გამოსწორების შესახებ მასალები დოკუმენტური სახით, მათ შორის - ხელშეკრულება, მიხედვითაც ფიზიკური პირი (ჯიმშერ ქამხაძე) მოახდენდა ორადგილიანი მერხების გადაკეთებას ერთადგილიანებად. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები გაეცნენ ხელშეკრულებას და მიიღეს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ დოკუმენტი არ იყო სრულყოფილი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ დაწესებულებას ხარვეზების გამოსასწორებლად განუსაზღვრა 15 - დღიანი ვადა. 2014 წლის 14 აპრილს, დაწესებულების დირექტორმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა ორი ახალი ხელშეკრულება.

2014 წლის 7 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება N5 რომელიც ძალაშია 2014 წლის 1 სექტემბრამდე. 2014 წლის 10 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება N6 რომელიც ასევე ძალაშია 2014 წლის 1 სექტემბრამდე. ხელშეკრულება N5-ის მიხედვით დაწესებულება 140 (ასორმოცი) ერთადგილიან მერხებს შესაბამისი რაოდენობის სკამებთან ერთად შეიძენს სს „თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკისაგან". ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 13503-92(ცამეტი ათას ხუთას სამი ლარი და ოთხმოცდათორმეტი თეთრი) ლარს. თან ახლავს 1000 (ერთი ათასი) ლარის გადახდის დოკუმენტი. ხოლო ხელშეკრულება N6 დადებულია ფიზიკურ პირთან მოქალაქე ჯიმშერ ქამხაძესთან საიდანაც ირკვევა, რომ 57 (ორმოცდაჩვიდმეტი) ორადგილიანი მერხიდან ჯიმშერ ქამხაძე დაწესებულებას დაუმზადებს 50 (ორმოცდაათი) IV საფეხურის და 64 (სამოცდაოთხი) III საფეხურის ერთადგილიან მერხებს. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს.

საბჭოს წევრი, ზვიად მიმინოშვილი დაინტერესდა, მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის შესაბამისი იყო თუ არა მერხების არსებული ოდენობა. რამაზ გიუნაშვილმა დაადასტურა, რომ მერხების რაოდენობა იყო საკმარისი. საბჭოს თავმჯდომარემ დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმებით დაადგინა, რომ დაწესებულებას გააჩნდა 252 ახალი ერთადგილიანი მერხი. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ რაოდენობას დაემატებოდა მანამდე არსებული 50 მერხი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ

სკოლას საერთო ჯამში, გააჩნდა მოსწავლეთა ზღვრული ოდენობისთვის (300 მოსწავლე) საკმარისი მერხები.

რამაზ გიუნაშვილმა დაადასტურა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნა იყო გამოსწორებული და დაწესებულებას გააჩნდა საკმარისი რაოდენობის ერთადგილიანი მერხები.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბესიკ ნიპარიშვილი-მრავალპროფილიან სკოლა - გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს არძანში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორმა, რამაზ გიუნაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებაში შემუშავებულია შეფასების სტრატეგია გაცდენების ან დადგენილ მინიმუმზე დაბალი ქულის მიღების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა დადგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით, რიგ საგნებში მოსწავლეებს ნორმით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალება არ ჰქონდათ შესრულებული პირველ სემესტრში, რაც ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ობიექტურად შეფასებასა და შეფასების გაუმჯობესებას;

2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

2.1 მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ვინაიდან შენობის პრივატიზების მიზნით ხელშეკრულება დროებით იქნა შეჩერებული სკოლის დამფუძნებლის განმარტებით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკება. დაწესებულებამ წარმოადგინა არსებული ფართისა და ამ ფართზე მდებარე შენობა-ნაგებობის ქირავნობის დამადასტურებელი ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებულია 2003 წლის 31 ივლისს და 2004 წლის 22 იანვარს, ამასთანავე დაწესებულებამ წარმოადგინა საკადასტრო რუკა და შენობა ნაგებობის აზომვითი ნახაზი.

2.2 ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებას აქვს 46 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის დაფებით, 198 ერთადგილიანი და 209 ორადგილიანი მერხითა და შესაბამისი რაოდენობის სკამებით. დასკვნის მომზადების პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება რის მიხედვითაც ფიზიკური პირი (ლევან ჩოფიკაშვილი) მოახდენს 202 ორადგილიანი მერხების გადაკეთებას 404 ერთადგილიან მერხებად. ხელშეკრულებასთან ერთად წარმოდგენილია მომსახურების ღირებულების ნაწილი თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2.3 სკოლაში არის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკას აქვს დებულება, გამოკრულია სამუშაო საათები. ბიბლიოთეკაში არსებობს ელექტრონული კატალოგი, ბიბლიოთეკაში წიგნები განთავსებულია თემატურად. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგება 2047 ერთეულისგან. ბიბლიოთეკის წიგნების შერჩევითი წესით გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ წიგნების გარკვეული რაოდენობა არ იყო დამუშავებული ბიბლიოთეკის წესით, კერძოდ არ ჰქონდა ჯიბაკები და არ იყო დამოწმებული დაწესებულების ბეჭდით. ვიზიტის პერიოდში ყველა წიგნი იქნა დამუშავებული ბიბლიოთეკის წესის შესაბამისად. აგრეთვე ბიბლიოთეკაში ვერ იქნა მოძიებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები სრულად, თუმცა დაწესებულებამ დასკვნის მომზადების პერიდში წარმოადგინა ყველა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო.

2.4 ვიზიტის დროს დაწესებულების ვებგვერდის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ვებგვერდი ვერ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და საჭიროებდა განახლებას, რომლის განახლებაც მოხდა ვიზიტის პერიოდში;

2.5 ვიზიტის დროს დაწესებულებას დამონტაჟებული ჰქონდა ერთ-ერთ შენობაზე მხოლოდ ერთი გარე კამერა. დასკვნის მომზადების პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებით გარე კამერის დამონტაჟების ფოტო მასალა, ასევე შესყიდვის დოკუმენტაცია საისდანაც ირკვევა, რომ კამერა შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

3. საგანამანათლებლო სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესრულებასთან მიმართებით:

3.1 სასკოლო ჟურნალების შერჩევითი წესით გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ დარღვეულია საკლასო ჟურნალების წარმოების წესი, კერძოდ საკლასო ჟურნალებს არ ჰქონდათ დარტყმული დაწესებულების ბეჭედი, მოსწავლის ამორიცხვა/ჩარიცხვის გრაფაში არ იყო შეტანილი ამორიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი. აგრეთვე შეტანილი მონაცემები იყო ჩასწორებული. დაწესებულებამ დასკვნის მომზადების პერიდში მიიღო ზომები და წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტაცია.

საბჭოს წევრი, ნატო ქობულაძე დაინტერესდა, თუ რა ვითარება იყო სკოლაში ინკლუზიური განათლების მიმართულებით. ნატო ქობულაძემ დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ შენობაში ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებს შეუზღუდავად შეეძლოთ გადაადგლება, რადგან დაწესებულებას გააჩნდა ლიფტი. ნატო ქობულაძე დაინტერესდა, ცდილობდა თუ არა სკოლის ადმინისტრაცია ამ კუთხით მოსწავლეთა მოზიდვას და ამ მიმართულების განვითარებას. აღნიშნულთან დაკავშირებით შპს არძანის დირექტორმა, გრიგოლ ბულიამ განმარტა, რომ სკოლაში ამჟამად არ სწავლობდა სსსმ მოსწავლე. მიუხედავად ამისა, დაწესებულებას ჰქონდა ინდივიდუალური გეგმებით მუშაობის გამოცდილება, რადგან გასულ წელს სკოლას ჰყავდა ასეთი საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელთანაც აქტიურად მუშაობდა ფსიქოლოგი.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, თუ რა გახდა სკოლაში მონიტორიგის ჯგუფის მიერ ვიზიტის განხორციელების საფუძველი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წინა წელს მოხდა ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშის არასწორ მისამართზე გადაგზავნა და შესაბამისად, სკოლამ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ცენტრში ვერ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე, დაინტერესდა საკლასო ჟურნალებში არსებული ხარვეზებით. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ხდებოდა თუ არა საკლასო ჟურნალების წარმოების შიდა მონიტორინგი, რადგან როგორც დასკვნიდან ირკვევა, აღნიშნული დარღვევები შესაძლოა შეუმჩნეველი დარჩენოდა თავად სკოლის ადმინისტრაციას, რომ არა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლაში მუდმივად მიმდინარეობდა ჟურნალების წარმოების მონიტორინგი. სასწავლო წლის დასაწყისში და პირველი სემესტრის ბოლოს პედაგოგებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ნოემბრის თვეში მოხდა სკოლის შენობის გაქურდვა და შესაბამისად, ადმინისტაციამ დაკარგა ძირითადი ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ. აღნიშნული გარემოების გამო, ჟურნალების წარმოების

მონიტორინგის პროცესი შეფერხდა, თუმცა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის შემდეგ სკოლის ადმინისტრაციამ მიიღო შესაბამისი ზომები ხარვეზის აღმოსაფხვრელად. კერძოდ, შეიქმნა კომისია აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით. პედაგოგიურ საბჭოზე განიხილვის შემდეგ მასწავლებლებს დაეკისრათ შესაბამისი დისციპლინური სახდელი. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ კომისიის დასკვნის შემდეგ ნათელი გახდა შემდეგი გარემოება: მასწავლებლების უმრავლესობას შესრულებული ჰქონდა შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, თუმცა არ ჰქონდათ შეტანილი სათანადო გრაფაში. დისციპლინური სახდელი დაეკისრათ ასევე სასწავლო დარგის მენეჯერებს და აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილების მიზნით სკოლამ მზადაყოფნა გამოთქვა აწარმოოს სასკოლო ჟურნალების ყოველკვირეული მონიტორინგი. შეფასების ობიექტურობს ხარისხის გაზრდის მიზნით, სკოლამ თანამშრომლობა სთხოვა ადგილობრივ საგანამანათლებლო რესურსცენტრს, რომელმაც თავის მხრივ კონსულტაციისთვის სრული მზადყოფნა გამოთქვა.

საბჭოს წევრმა, ნატო ქობულაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ჰქონდა თუ არა მსგავს ფაქტს ადგილი მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტამდე. დაწესებულების წარმომადგენლება განმარტეს, რომ მსგავს დარღვევას ადგილი არ ჰქონია. მონიტორიგნგის ჯგუფის წევრმა რამაზ გიუნაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ფაქტი იმოქმედებდა მოსწავლეთა შეფასებაზე და პრობლემებს შექმნიდა ოქროსა და ვერცხლის მედლის კანდიდატი მოსწავლეებისათვის.

საბჭოს წვერმა, თამარ ბრეგვაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, რა ძირეული პრობლემას გამოყოფდნენ ისინი სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. აღნიშნულ შეკითხვაზე დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სკოლაში არ არსებობდა პრობლემა.

მონიტორინგის ჯგუფის წევრმა, რამაზ გიუნაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების უმეტესი ნაწილი დაწესებულებამ გაითვალისწინა და გამოსწორა ვიზიტის პერიოდში. რამაზ გიუნაშვილმა აღნიშნა, რომ არსებით შენიშვნას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რითაც დაწესებულებას დაუდასტურდებოდა ფართის მართლზომიერი მფლობელობა. მოცემულ საკითხზე სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. დაწესებულებამ წარმოადგინა არსებული ფართისა და ამ ფართზე მდებარე შენობა-ნაგებობის ქირავნობის დამადასტურებელი ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებულია 2003 წლის 31 ივლისს და 2004 წლის 22 იანვარს, ამასთანავე დაწესებულებამ წარმოადგინა საკადასტრო რუკა და შენობა ნაგებობის აზომვითი ნახაზი.

დაწესებულების დირექტორმა დამატებით აღნიშნა, რომ შენობის ქირავნობის ხელშეკრულება თავდაპირველად დაიდო 30 წლის ვადით. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი, ხელშეკრულების პირობების შეიცვლისა და ქირავნობის თანხის საგრძნობლად გაზრდის გამო, დაწესებულებამ ვერ მოახერხა ხელშეკრულების გაგრძელება. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხებზე, ამჟამად, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების დირექტორს, რა ვადაში დაზუსტდებოდა აღნიშნული საკითხი, რადგან წარმოდგენილი დასკვნისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის საფუძველზე, არსებობსდა პოტენციური საფრთხე იმისა, რომ დაწესებულება დარჩებოდა ფართის გარეშე. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ შესაბამის სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ზეპირი შეთანხმება აძლევდა იმის

იმედს, რომ მოცემული პრობლემა მოგვარდებოდა გონივრულ ვადაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს შესაბამის სახელმწიფო უწყებებში თავად შეეძლოთ გადაემოწმებინათ ინორმაცია, რომ ამ საკითხზე მიმდინარეობდა აქტიური მსჯელობა და კონსულტაციები.

საბჭოს წევრი, მაია მაღლაკელიძე, დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ბიბლიოთეკაში ელექტორნული კატალოგი. დაწესებულების წარმოამდგენელმა განაცხადა, რომ სკოლას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და მოსწავლეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით შეეძლოთ ესარგებლათ ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ მონიტორინგის ვიზიტისას დაწესებულებამ ყველა ხარვეზი გამოსწორა. მან ასევე აღნიშნა, რომ შენობის ფართთან დაკავშრებულ პრობლემას საბჭო გვერდს ვერ აუვლიდა და გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელებდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ მისი აზრით, დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად უნდა მისცემოდა კანონმდელობით დადგენილი ვადა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარე ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

სხდომაზე 18:04 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 18:10 საათზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არძანში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 შესაბამისად, გადაიდოს შპს არძანში (ს/კ: 203840709) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 15 დღის ვადა.

3. შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნოდარ ანგურიძემ. დოკუმენტური გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის საკუთრებაში არსებულმა შენობის საერთო ფართმა საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შეადგინა 2682,3 კვ.მ. სკოლის შენობა ხუთსართულიანია, სასწავლო პროცესისთვის გამოიყენება პირველი ოთხი სართული, მეხუთე სართულზე განთავსებულია საცხოვრებელი ოთახები მოწვეული მასწავლებლებისა და სკოლის სტუმრებისათვის. მეხუთე სართულის ფართობია 403,64 კვ.მ. გარდა ამისა პირველ სართულზე სკოლამდელი მოსამზადებელი ჯგუფისთვის გამოყოფილია 50,46 კვ.მ, რომელიც ასევე არ გამოიყენება სასკოლო დანიშნულებისთვის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლის მიერ გამოსაყენებელი ფართი შეადგენს 2228,2 კვ.მ-ს .

შესყიდვის დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლას შესყიდული ჰქონდა 280 ერთადგილიანი და 80 ორადგილიანი მერხი შესაბამისი რაოდენობის სკამებით. ვიზუალური დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ 23 საკლასო ოთახში განთავსებული ოყო 274 ერთადგილიანი, 60 ორადგილიანი მერხი, 294 სკამი ერთადგილიანი მერხებისთვის და 40 ორადგილიანი სკამი (გადაბმული) ორადგილიანი მერხებისთვის. გარდა ამისა, სკოლის საწყობში აღმოჩნდა დამტვრეული და სარეზერვო მერხების და სკამების ის რაოდენობა რაც იძეოლეოდა განსხვავებას შესყიდულ და რეალურ რაოდენობას შორის.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს „ISTANBUL BAZAR"-თან დამატებით 130 ერთადგილიანი მერხის ყიდვის თაობაზე ხელშეკრულების მიხედვით მერხების დამზადება უნდა შესრულებულიყო 2014 წლის 10 ივლისამდე. თანხა გადახდილ იქნა სრულად, წარმოდგენილი იყო გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სკოლის ბიბლიოთეკა მოიცავდა ეროვნული სასწავლო გეგმით და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სახელმძღვანელოებს, დამატებით ლიტერატურას ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად. წიგნადი ფონდი მოიცავდა 1718 ერთეულს. მათგან 476 წიგნი ჩამოწერილია. სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკის წიგნების ანბანური კატალოგი, ფონდის საინვენტარო წიგნი, მოსწავლეთა და მასწავლებელთა საბიბლიოთეკო პირადი ბარათები. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება,

სკოლას ჰქონდა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები: 48 ერთეული პერსონალური კომპიუტერი/ნოუთბუქი, (ამასთანავე სკოლას აქვს 8 მწყობრიდან გამოსული კომპიუტერი) რომელთაგან 17 კომპიუტერულ კლასში, 23 განაწილებულია საკლასო ოთახებში, 1

ბიბლიოთეკაში, 7 ადმინისტრაციაში. შესყიდვის დოკუმენტაციით კი სკოლა ფლობს 56 ერთეულ კომპიუტერს. გარდა ამისა სკოლას ჰქონდა სხვა კომპიუტრეული ტექნიკა (4 ერთეული „ჭკვიანი დაფა", პროექტორები, პრინტერები, სკანერები, ასლის გადამღები აპარატები და სხვა).

სკოლა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის მიწერილ წერილში (№64/14, 16/06/2014) აღნიშნავს, რომ ერთერთი მოტივი მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნისა იყო მშობელთა გაზრდილი მიმართვიანობა. ვიზიტის პერიოდში სკოლის მოსწავლეთა რეესტრში ირიცხებოდა 263 მოსწავლე (მათ შორის 16 მეთორმეტე კლასელია, რომლებმაც დაამთავრეს სკოლა). სკოლაში შემოსული იყო 46 პირველკლასელთა და 9 სხვადასხვა კლასში სწავლის მსურველთა განცხადება. სასწავლო პროცესის განხორციელებას უზრუნველყოფდა საშტატო (29) და მოწვეული (15) პერსონალი. გადამოწმებით დადგინდა, რომ მათი განათლება, შეესაბამება კანონმდებლობით დაწესებულ კრიტერიუმებს.

მოწვეულ პერსონალთან, დირექციასთან და მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რაც შეეხება სტანდარტის დანარჩენ მუხლებს ისინი შესაბამისობაში მოდიოდა ავტორიზაციის მიღების პერიოდში არსებულ მდგომარეობასთან.

საბჭოს წევრმა, ნატო ქობულაძემ იკითხა, თუ რამდენად იყო შენობა ადაპტირებული სსსმ მოსწავლეთათვის. ნოდარ ანგურიძემ უპასუხა, რომ შენობას ჰქონდა ლიფტი, რომელშიც დაეტეოდა ეტლი, ასევე, მოწესრიგებული იყო ადაპტირებული სველი წერტილის საკითხიც.

საბჭოს წევრი, ზვიად მიმინოშვილი დაინტერესდა სკოლამდელი აღზრდის განყოფილებით, რომელიც შენობის პირველ სართულზე 2 ოთახში იყო განთავსებული, და იკითხა ეს განყოფილებები დაწესებულების ფართის საერთო ნაწილში შედიოდა თუ არა.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ფართი (50.46 კვ.მ) გამოაკლეს სკოლის საერთო ფართს.

საბჭოს წევრი, თამარ ცირეკიძე დაინტერესდა, თუ რამდენი მერხის განთავსება შეიძლებოდა კლასებში.

ექპსერტმა, ნოდარ ანგურიძემ უპასუხა, რომ კლასში ეტეოდა 20 მერხი და დაწესებულების შინაგანაწესშიც კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური ოდენობა 20 ადგილით იყო განსაზღვრული. სულ დაწესებულებაში არსებობდა 23 ოთახი.

საბჭოს წევრმა, ზვიად მიმინოშვილმა იკითხა, თუ რამდენ კვადრატულ მეტრს შეადგენდა თითო ოთახი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თითოეული ოთახის ფართი შეადგენდა დაახლოებით 40 კვ.მ.-ს და მეხუთე სართული იყო იზოლირებული, სადაც მხოლოდ დერეფნითა და ლიფტით შეიძლებოდა სარგებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა ითხოვდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 398-ით განსაზღვრას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 398-ით გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების ,,ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმს (ს/კ: 212917174) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 398-ით.

4. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის დირექტორის მიერ გაცემული მინდობილობა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიხეილ ტეფნაძემ. მან აღნიშნა, რომ საგანამანათლებლო პროგრამებთან და მატერიალურ რესურსებთან მიმართებით დაწესებულება სრულად აკმაყოფილებდა სტანდარტებს და დასკვნაში ამ მიმართულებით არსებითი შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა:

1. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

1.1. დაწესებულების დაწყებითი საფეხურს ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგნის 19 კვალიფიციური სპეციალისტი და 2 პედაგოგ-კონსულტანტი. საბაზო საფეხურის განსხვავებული საგნების (ქიმია, გეოგრაფია, ფიზიკა, სამოქალაქო განათლება, საბუნებისმეტყველო საგნების საფუძვლები) პედაგოგებზე გამოცხადებული იყო კონკურსი. მასწავლებლების შერჩევის წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ სკოლის პრიორიტეტს წარმოადგენდა ხარისხისნი განათლება, შესაბამისად, სკოლა ეძებდა ისეთ კადრებს, რომლებიც დასაქმების შემთხვევაში გაივლიდნენ საგნობრივ ტრენინგებს გერმანიაში. მან აქვე განმარტა, რომ რეგიონის პირობებში ასეთი პერსონალის მოძიება სამწუხაროდ იყო საკმაოდ რთული რთულია.

საბჭოს წევრი, ზვიად მიმინოშვილი დაინტერესდა, აფინანასებდა თუ არა გერმანიაში მასწავლებლების სამივლინებო ხარჯებს სკოლა. დაწესებულების წარმომადგენელმა განამრტა, რომ ყველა ხარჯს დაფარავდა სკოლა. მან ასევე დაამატა, რომ ტრენინგების ვადა და ჩატარების ადგილი, კონკრეტული საგნის სპეცფიკიდან გამომდინარე განისაზღვრებოდა. რიგ შემთხვევაში, გადამზადება ხდებოდა საქართველოში გერმანელი სპეციალისტების მონაწილეობით. სკოლის დირექტორის მოადგილემ დააზუსტა, რომ სკოლას გააჩნდა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის უნიკლაური ლაბორატორიები, შესაბამისად, დირექცია დაინტერესებული იყო იმით, ტომ პედაგოგებს შეძლებოდათ ლაბორატორიების გამოყენება და ინოვაციური მეთოდებით გაკვეთილების დაგეგმვა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწორედ ეს გარემოება იყო იმის მიზეზი, რომ მასწავლებელთა შერჩევის კონკურსები არ იყო დასრულებული.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და სთხოვა დაედასტურებინა ამ ეტაპზე დაკმაყოფილებული იყო თუ არა ავტორიზაციის დებულების ერთ-ერთი სტანდარტი - ადამიანური რესურსები და შეძლებდა თუ არა სკოლა

სწავლების განხორციელებას საბაზო საფეხურზე. მიხეილ ტეფნაძემ აღნიშან, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა სრულიად დაკმაყოფილებული ავტორიზაციის ერთ-ერთი სტანდარტი - ადამიანური რესურსები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უკვე ჰყავდათ შერჩეული ბიოლოგიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგები. ამჟამად მიმდინარეობდა მოლაპარაკება ფიზიკის პედაგოგთან. კონკურსი იყო გამოცხადებული ქიმიისა და გეოგრაფიის მასწავლებლებზეც.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ცირეკიძე დაინტერესდა რა ვადით უფორმებდა ხელშეკრულებას დაწესებულება მასწავლებლებს და რომელი წლიდან არსებობდა აღნიშნული სკოლა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლა ფუნქციონირებდა 3 წლის განმავლობაში და პედაგოგებს ხელშეკურლებას უფორმებდა 10 თვის ვადით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული მექანიზმით სკოლას მუდმივად შეეძლებოდა კადრების გადახალისებასა და განახლებას.

საბჭოს წევრი, მაია მაღლაკელიძე დაინტერესდა დაწესებულების მიერ ზუგდიდის ბიბლიოთეკასთან გაფორმებული ხელშეკრულებით და დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა განმარტება რა თანხის გადახდა უწევდა დაწესებულებას იმისათვის, რომ ბავშვებს ესარგებლათ აღნიშნული ბიბლიოთეკით. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხელშეკრულების დეტალებს შესახებ ის ინფორმირებული არ იყო. აღნიშნული თანხა სავარაუდოდ ეხებოდა სკოლისა და ბიბლიოთეკის მიერ ერთობლივარ ორგანიზებულ ღონისძებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ცირეკიძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით არსებითი ხასიათის შენიშვნას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ სკოლას მთელ რიგ საგნებში ამ ეტაპზეც არ ჰყავდა პედაგოგები შერჩეული. მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტმა ნახეს გამოცხადებულ კონკურსზე შემოსული განაცხადები და პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ განმცხადებლების კვალიფიკაცია შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის (საიდენტიფიკაციო კოდი: 220389559) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით.

5. შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა - ნინო ფეტვიშვილმა. მან ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებების შესახებ.

ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ	
სახელწოდება	შპს-ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი	216441358
საფეხურები	დაწყებითი-საბაზო-საშუალო
ავტორიზაცია	N302; 23.11.2012
მასწავლებლების რაოდენობა	53
მათ შორის სერტიფიცირებული	10
მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა	458
მოსწავლეთა ამჟამინდელი რაოდენობა	415
მოთხოვნილი ადგილების რაოდენობა	616 (158 მოსწავლით გაზრდა)

დაწესებულებამ ავტორიზაცია მოიპოვა სხვა მისამართზე (გარდაბანი, კრწანისის საკრებულოს ტერიტორია, რუსთავის გზატკეცილის 22-ე კილომეტრი, საკუთრების ფორმით ფლობდა და ფლობს შენობა-ნაგებობებს 1017,978 კვ.მ და 357,06 კვ.მ ფართით). ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ დაწესებულებამ შეიძინა დამატებით ახალი შენობა-ნაგებობა სხვა მისამართზე. ცვლილების შესახებ, დაწესებულებამ აცნობა ცენტრს.

დაწესებულებამ თხოვნით მიმართა ცენტრს კონტინგენტის 158 მოსწავლით გაზრდის თაობაზე.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

დაწესებულების საერთო ფართი	
მისამართი	გარდაბანი, კრწანისის საკრებულოს ტერიტორია, რუსთავის გზატკეცილის 22-ე კილომეტრი,
საკადასტრო კოდი	81.04.10.319
მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების საერთო ფართი	მიწის ნაკვეთი 4927 კვ.მ და შენობა-ნაგებობები 1375.038 კვ.მ
საკუთრების ფორმა და მოქმედების ვადა	კერძო საკუთრება. სანოტარო აქტი გადახდის განვადებითუძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ, რეესტრის ნომერი N090872834, დამოწმების თარიღი 18/12/2009, ნოტარიუსი ოთარ ზოიძე

დაწესებულების საერთო ფართი	
მისამართი	ქ. რუსთავი, ახმეტელის ქ. N10
საკადასტრო კოდი	02.04.02.068
მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების საერთო ფართი	მიწის ნაკვეთი 10890 კვ.მ და შენობა-ნაგებობები 3034.23 კვ.მ
საკუთრების ფორმა და მოქმედების ვადა	კერძო საკუთრება. უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი 23/09/2011, საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახური.

ქ. რუსთავში, ახმეტელის ქ. №10-ში დაწესებულება განთავსებული იყო 4 სართულიან შენობაში სადაც 47 ოთახია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა 23 ოთახში თითეული ოთახის საშუალო ფართობი ტოლი იყო 49 კვ.მ.-ის. გარდაბანი, კრწანისის საკრებულოს ტერიტორია, რუსთავის გზატკეცილის 22-ე კილომეტრზე მდებარე მისამართზე დაწესებულება განთავსებული იყო სამ სართულიან შენობაში, სადაც არის 20 ოთახი და სასწავლო პროცესში ჩართულია 13 ოთახი, თითეული ოთახის საშუალო ფართობია დაახლოებით 35 კვ.მ. სკოლაში 26 ფინანსური კლასია. შენობებში გარდა საკლასო ოთახებისა მდებარეობდა სააქტო დარბაზი, არასტანდარტული ზომის სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი, კომპიუტერული ლაბორატორიები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ხელოვნების კაბინეტი, სპორტული დარბაზი, ჭადრაკის კაბინეტი, სამედიცინო კაბინეტი. დაწესებულებას მოსწავლეთათვის გააჩნია 395 ერთადგილიანი მერხი და სკამი, 156 ცალი ორადგილიანი მერხი თავისი სკამებით, 8 ცალი სამადგილიანი მერხი და სკამები, დამატებით 51 სკამი, 69 კომპიუტერი თავისი მაგიდით და სკამით, 10 პრინტერი, 15 პროექტორი, 3 „ჭკვიანი დაფა", 21 ცალი ჭადრაკის მაგიდა თავისი 42 სკამით.

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების შესწავლამ აჩვენა, რომ სკოლის სასწავლო გეგმა და მასწავლებლების კვალიფიკაცია ხშირ შემთხვევაში შესაბამისობაში იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. მასწავლებლებს თანამდებობები, ასევე ხშირ შემთხვევაში, დაკავებული ჰქონდთ „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველო ორგანული

კანონის „ საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, გართულდა მასწავლებლის პიროვნების იდენტიფიცირება და კვალიფიკაციის დადგენა. მაგალითად:

1. მასწავლებლის, რომელიც ასწავლის თურქულ ენას, პირადობის მიხედვით სახელია- ჰაჯერ, გვარი - ჩირიშ, ნოტარიუსის მიერ დამოწმებულ დიპლომში სახელია- ჰაჯერ, ხოლო გვარი - ბარინ;

2. ინგლისური ენის მასწავლებელი ჯოშგუნ გაჯიევის პირად საქმეში წარმოდგენილი იყო დოკუმენტი დროებითი სწავლის დასრულების შესახებ, სადაც მითითებულია ფაკულტეტი: ხელოვნებისა და მეცნიერების; განყოფილება/პროგრამა: ამერიკული კულტურა და ლიტერატურა; სწავლების ენა: ინგლისური. არსად არ ჩანს კვალიფიკაცია და არ არის ინგლისური ენის სწავლების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

3. ინგლისური ენის მასწავლებელს, მუზაფერ უჩარს წარმოდგენილი ჰქონდა ნოტარიუსის მიერ დამოწმებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი, რომლის მიხედვით მინიჭებული აქვს უცხოური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია, არ არის დაზუსტებული, კონკრეტულად რომელი ენის სწავლების უფლება აქვს პიროვნებას.

მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების უმეტეს შემთხვევაში სახელშეკრულებო ვადა (მოქმედების პერიოდი) იწურება 2014 წლის 1 ივლისს ან 1 სექტემბერს.

დაწესებულების ორი შენობიდან მხოლოდ ერთ შენობაში იყო (ქ. რუსთავი, ახმეტელის ქ. N 10) გამოყოფილი ფართი, რომელშიც განთავსებულია ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი (ერთი ოვალური მაგიდა, 8 ორადგილიანი მაგიდა და 16 სკამი, ინტერნეტში ჩართული ერთი კომპიუტერი). დაწესებულების წარმომადგენლის ახსნით, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები, რომლებიც საქმიანობენ, გარდაბანი, კრწანისის საკრებულოს ტერიტორია, რუსთავის გზატკეცილის 22-ე კილომეტრი (პირველი შენობა), საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ მეორე შენობაში (ქ. რუსთავი, ახმეტელის ქ. N 10) განთავსებული ბიბლიოთეკით. მოცემულ შემთხვევაში, ექსერტთა მოსაზრებით, ირღვევა ესგ-ს მე-8 მუხლი საგანმანათლებლო რესურსების მართვა, რომლის მიხედვითაც - სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის. სკოლამ უნდა უზრუნველყოს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენდა 2086 წიგნს (აქედან 713 კლასგარეშე ლიტერატურა, ხოლო 1373 - გრიფირებული და დამატებითი სახელმძღვანელო). ბიბლიოთეკაში არის კარტოთეკა (მხოლოდ მხატვრული ლიტერატურისთვის), საინვენტარო წიგნი, გატანისა და შემოტანის ჟურნალი, ელექტრონული ჟურნალი.

ბიბლიოთეკაში გრიფირებული სახელმძღვანელოების გადამოწმებისას რამდენიმე წიგნი არ იყო, ბიბლიოთეკარის განმარტებით, წიგნები გატანილი იყო ბიბლიოთეკიდან, თუმცა ბიბლიოთეკარმა გატანის ფაქტის დამადასტურებელი ჩანაწერი ვერ წარმოადგინა. კერძოდ, ქართული ენა და ლიტერატურა მე–4 კლასი (მაღლაკელიძე), ხელოვნების სახელმძღვანელო აზერბაიჯანულ ენაზე I კლასი, აზერბაიჯანული ენა I და II კლასი.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, გრიფირებული სახელმძღვანელოების გარდა, ძირითად სახელმძღვანელოებად საბუნებისმეტყველო საგნებსა და მათემატიკაში, მე–7–დან მე–9 კლასების ჩათვლით, გამოიყენება თურქი ავტორების ინგლისურენოვანი წიგნები. დაწესებულების პასუხისმგებელმა პირმა წარმოგვიდგინა დოკუმენტი, დათარიღებული 10.09.2012 წ., რომლის მიხედვით, „სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრის მიერ მოწონებულ იქნა სახელმძღვანელოები: ბიოლოგია (VIII და XI კლასები)– გენეტიკა, ციტოლოგია; ქიმია (VIII –XI კლასები); ფიზიკა (VIII და XI კლასები) – მექანიკა, ელექტროენერგია და მაგნეტიზმი; მათემატიკა (VII – XI კლასები თითოეული ორ ნაწილად) .... ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯს ეძლევა უფლება გამოიყენონ ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოები სასწავლო პროცესში.“ თუმცა ბიბლიოთეკაში წიგნების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ წარმოდგენილ წერილში წიგნების ჩამონათვალისა და არსებული ინგლისურენოვანი წიგნების იდენტიფიკაცია არ იყო შესაძლებელი, რადგანაც სახელმძღვანელოები, რომლებიც, დაწესებულების წარმომადგენლების მტკიცებით, აწყობილია ესგ–ს მიხედვით, იყო ქსეროასლები და არსად არ იყო მითითებული ავტორი და გამომცემლობა. არც სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ წარმოდგენილ ჩამონათვალში არ იყო მითითებული ავტორი და გამომცემლობა. ამიტომ იმის დადგენა, წარმოადგენს თუ არა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ნუსხა ცენტრის მიერ მოწონებული წიგნების ჩამონათვალს, შეუძლებელია.

საბჭოს წევრი მაია მაღლაკელიძე დაინტერესდა სკოლის ბიბლიოთეკით და კითხვით მიმართა ექსპერტს რა სახის წიგნადი ფონდი იყო განთავსებული ახალ ბიბლიოთეკაში. ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ ახალი შენობის ბიბლიოთეკაში იყო წიგნები 1-12 კლასის ჩათვლით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ძველ შენობაში წიგნების არსებობა არ დადასტურდებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლება წარმოადგინეს ფოტო მასალა და აღნიშნეს, რომ ექსპერტის ვიზიტის შემდეგ ძველ შენობაში გამოიყო ოთახი, რომელიც მოეწყო როგორც ბიბლიოთეკა, შეიძინეს წიგნები და ასევე წარმოადგინეს ლიტერატურის ჩანათვალი, რაც ახალ ბიბლიოთეკაში იყო განთავსებული. ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულ ფაქტს ვერ დაადასტურებდა, რადგან მისი ვიზიტის დროს მსგავს აქტივობას ადგილი არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სკოლაში არსებული მერხების რაოდენობით. ნინო ფეტვიაშვილმა საბჭოს თავმჯდომარიოს შეკითხვაზე განამრტა, რომ სკოლაც გააჩნდა 395 ერთადგილიანი მერხი და სკამი, 156 ცალი ორადგილიანი მერხი თავისი სკამებით, 8 ცალი სამადგილიანი მერხი და სკამები. აქვე აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტი შეადგენდა 415 მოსწავლეს.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ცირეკიძემ აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სკოლას არ ჰქონდა საკმარისი რაოდენობით ერთადგილიანი მერხები და ეს უკვე წარმოადგენდა ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევას. მან აქვე დაამატა, რომ მსგავს შემთხვევებში ორგანიზაციებმა წარმოადგინეს ორადგილიანი მერხების ერთადგილიანებად გადაკეთების ან ერთადგილიანი მერხების შესყიდვის ხელშეკრულებები. თამარ ცირეკიძემ აღნიშნა, რომ მერხების გადაკეთების შემთხვევაშიც, მერხების საერთო რაოდენობა არ გადააჭარბებდა 560-ს და შესაბამისად, სკოლის მოთხოვნა 616 მოსწავლეზე არ იქნებოდა სტანდარტებთან შესაბამისი. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს სთხოვა მხედველობაში მიეღო კომპიუტერულ კლასებში არსებული მერხების რაოდენობაც.

საბჭოს წევრი ზვიად მიმინოშვილი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მასწავლებელების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წესრიგში. დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოზე წარმოადგინეს მუზაფერ უჩარის, ჯოშგუნ გაჯიევი კვალიფიკციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელსაც გაეცნო ექსპერტი და საბჭო, რის შემდეგაც დადასტურებული იქნა მათი კვალიფიკაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე წარმოადგინა ჰაჯერ ჩირიშის გვარის შეცვლის დამდასტურებელი

დოკუმენტაციაც. ნინო ფეტვიაშვილმა ასევე განმარტა, რომ მასწავლებელთა ნაწილს ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული 1 ივლისამდე, ნაწილს - 1 სექტემბრამდე.

საბჭოს წევრმა მაია მაღლაკელიძემ აღნიშნა, რომ წიგნების ჩამონათვალში, რაც ძველი შენობის ბიბლიოთეკაში განთავსდა ფიქსირდებოდა მხატვრული ლიტერატურაც. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ წიგნადი ფონდის განახლება/გამდიდრება მოხდებოდა ეტაპობრივად.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ კითხვით მიმართა ექსპერტს კომპიუტერულ კლასში არსებული მერხების მდგომარეობის შესახებ. ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ კომპიუტერულ კლასში არსებული მერხები იყო მცირე ზომის, სადაც შეიძლებოდა დატეულიყო მონიტორი და მაუსი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 616-ით განსაზღვრა.

სხდომაზე 19:37 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 19:45 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მატერიალური რესურსის გათვალისწინებით შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 551 მოსწავლისთვის.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 551-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმს (ს/კ: 216441358) მოსწავლეთს ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 551-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 19:47 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა

თავმჯდომარე
თამარ ცირეკიძე

მდივანი
ნატო ქობულაძე